



დოკუმენტის დამტკიცების თარიღი და ბრძანების
ნომერი: 28.02.2019 წ. ბრძანება №27

ევროპის უნივერსიტეტის
სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი



დოკუმენტის შინაარსი

მუხლი 1. რეგულირების სფერო	3
მუხლი 2. ენობრივი კომპეტენციის დადგენას დაქვემდებარებულ პირთა წრე	3
მუხლი 3. ენობრივი კომპეტენციის დადასტურება	4
მუხლი 4. ენობრივი კომპეტენციის შეფასების მეთოდოლოგია	8
მუხლი 5. ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი	10
მუხლი 6. გამოცდის შედეგები. აპელაცია	10
მუხლი 7. ენობრივი კომპეტენციის დადგენის შედეგები	11





მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესი ადგენს ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლების მქონე სტუდენტებისთვის/აბიტურიენტებისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი კომპონენტების სწავლების ენის შესაბამისი ენობრივი კომპეტენციის დადგენის შემთხვევებს, ენობრივი კომპეტენციის საუნივერსიტეტო გამოცდის ჩატარების ვალდებულების მქონე პირებს, გამოცდის ჩაბარების წესსა და პირობებს, აგრეთვე, ენობრივი კომპეტენციის გაუმჯობესების საუნივერსიტეტო მექანიზმებს.
2. წინამდებარე წესით ასევე განისაზღვრება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ უცხოენოვან კომპონენტზე სტუდენტის დაშვების, უცხო ენაში გასავლელი სასწავლო კურსის დონის დადგენის პროცედურები და უცხო ენის კომპონენტში დამატებითი კრედიტების ათვისების შესაძლებლობა.
3. წინამდებარე წესის მიზანია, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პირების შესაბამისი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენას, აგრეთვე, ენობრივი კომპეტენციის დონის გასაუმჯობესებლად, საუნივერსიტეტო მექანიზმების ამოქმედებას.
4. საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეულ კომპონენტებზე დაშვების წესი წესრიგდება აღნიშნული პროგრამის სასწავლო გეგმაში განსაზღვრული წინაპირობებით.

მუხლი 2. ენობრივი კომპეტენციის დადგენას დაქვემდებარებულ პირთა წრე

1. ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენას ექვემდებარება უნივერსიტეტის პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტი/ჩასარიცხი აბიტურიენტი, რომელიც არ განეკუთვნება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ერთ-ერთ კატეგორიას.
2. ქართულენოვან პროგრამაზე ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენის ვალდებულებისგან თავისუფლდებიან შემდეგი პირები:
 - ა) რომლებმაც ჩააბარეს ერთიანი ეროვნული / საერთო სამაგისტრო გამოცდები სახელმწიფო ენაზე.
 - ბ) რომლებმაც სრული ზოგადი, ხოლო სამაგისტრო პროგრამებთან მიმართებით - საბაკალავრო განათლება მიიღეს ქართულ ენაზე.



გ) რომლებსაც გავლილი აქვთ ქართულ ენაში მომზადების პროგრამა, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით.

3. ინგლისურენოვან/ქართულენოვან პროგრამებზე ენობრივი კომპეტენციის დონის დადასტურების ვალდებულება აქვს:

ა) ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხულ პირს.

ბ) მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ ან ჩარიცხულ სტუდენტს, რომელმაც გამომშვებ უნივერსიტეტში სწავლის უფლება მოიპოვა ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე, ექვემდებარება ქართული/ინგლისური ენის დონის განსაზღვრას, რათა დადასტურდეს პირის მიერ პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგისთვის საჭირო ენობრივი კომპეტენცია.

მუხლი 3. ენობრივი კომპეტენციის დადასტურება

1. საბაკალავრო და ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აბიტურიენტის ჩარიცხვის მიზნით პროგრამის ენის ცოდნის დასადგენად, უნივერსიტეტი ატარებს გამოცდას. გამოცდა ტარდება ორ ეტაპად:

ა) პირველი ეტაპი - ლაპარაკის მოდული (Speaking Module) წარმოადგენს ერთ-ერთ საკვანძო კომპონენტს. იგი ტარდება გამომცდელთან ერთი-ერთზე ინტერვიუს სახით პირისპირ ან დისტანციურად. გამომცდელი ლაპარაკის პროცესშივე აფასებს კანდიდატის შესაძლებლობებს. ხორციელდება გასაუბრების ვიდეოჩაწერა და უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ვიდეოჩაწერის ხელმისაწვდომობას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროსთვის. ლაპარაკის მოდულში აპლიკანტის მაქსიმალური ქულა შეადგენს 25, მინიმალური ბარიერი 15 ქულა.

ბ) მეორე ეტაპი - ტესტი (ტარდება წერითი ფორმით) ამოწმებს კანდიდატის სამ ძირითად ენობრივ უნარს: მოსმენა, კითხვა და წერა. ტესტის მაქსიმალური შეფასება 75 ქულა, მინიმალური ბარიერი 45 ქულა.

გ) აბიტურიენტი უფლებამოსილია პროგრამის ენობრივი კომპეტენცია დაადასტუროს ამ წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენის გზით პროგრამისთვის განსაზღვრული უცხოური ენის დონის შესაბამისად. საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში აბიტურიენტი თავისუფლდება უცხოური ენის წერითი გამოცდიდან.



დ) თუ სტუდენტი ვერ აგროვებს ლაპარაკის მოდულში მინიმუმ 15 ქულას, მას არ აქვს გამოცდის მეორე ნაწილის-კითხვის, მოსმენისა და წერის უნარების შემმოწმებელ გამოცდაზე გასვლის უფლება.

2. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, უცხო ენის კომპონენტის დონის განსაზღვრას ექვემდებარება უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს უცხო ენის/ენების შესწავლას და მიმართავს უნივერსიტეტს შესაბამისი დონის განსაზღვრის მიზნით;

3. ერთიანი ეროვნული გამოცდებით ევროპის უნივერსიტეტში ჩარიცხული პირები, რომლებიც არ გამოცხადდებიან შიდასაუნივერსიტეტო ენის დონის განსაზღვრის გამოცდაზე, უცხო ენის სასწავლო კურსზე გადანაწილებისთვის გამოიყენება:

ა) ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული სტუდენტებისთვის, რომლებსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აქვთ ჩაბარებული ის ენა, რომელსაც ირჩევენ პროგრამის უცხო ენის კომპონენტის ფარგლებში, მაგრამ არ გამოცხადდა უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გამოცდაზე, დონის განსაზღვრისათვის გამოიყენება ერთიანი ეროვნული გამოცდების უცხო ენის ტესტის შედეგები, შემდეგი წესის დაცვით:

ა.ა.) ერთიანი ეროვნული გამოცდების უცხო ენის ტესტში 91% და მეტი შედეგი უზრუნველყოფს სტუდენტის B2 დონის უცხო ენის სასწავლო კურსზე დაშვებას.

ა.ბ.) ერთიანი ეროვნული გამოცდების უცხო ენის ტესტში 61% - 90% შედეგი უზრუნველყოფს სტუდენტის B1 დონის უცხო ენის სასწავლო კურსზე დაშვებას.

ა.გ.) ერთიანი ეროვნული გამოცდების უცხო ენის ტესტში 30% - 60% შედეგი უზრუნველყოფს სტუდენტის A2 დონის უცხო ენის სასწავლო კურსზე დაშვებას.

ა.დ.) ერთიანი ეროვნული გამოცდების უცხო ენის ტესტში 30% - მდე შედეგი უზრუნველყოფს სტუდენტის A1 დონის უცხო ენის სასწავლო კურსზე დაშვებას. ანალოგიური წესი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული აქვს უნივერსიტეტში არჩეულიდან განსხვავებული უცხო ენა, ან პროგრამა ითვალისწინებს კონკრეტულ უცხო ენას, ან არ მიმართავს უნივერსიტეტს შესაბამისი დონის განსაზღვრის მიზნით;

ბ) სტუდენტი უფლებამოსილია ენობრივი კომპეტენციის დონის დასადგენად წარმოადგინოს შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEIC, TOEFL, IELTS, Cambridge Exam). სერტიფიკატით დადასტურებული ენობრივი კომპეტენციის დონე საუნივერსიტეტო სწავლების დონეს შეესაბამება შემდეგი ცხრილის შესაბამისად:



TOEIC	TOEFL Paper	TOEFL CBT	TOEFL IBT	IELTS	Cambridge Exam	CEFR / საუნივერსიტეტო სასწავლო კურსი
0 - 250	0 - 310	0 - 30	0 - 8	0 - 1.0		
	310 - 343	33 - 60	9 - 18	1.0 - 1.5		A1
255 - 400	347 - 393	63 - 90	19 - 29	2.0 - 2.5		A1
	397 - 433	93 - 120	30 - 40	3.0 - 3.5	KET (IELTS 3.0)	A2
					PET (IELTS 3.5)	B1
405 - 600	437 - 473	123 - 150	41 - 52	4.0	PET	B1
	477 - 510	153 - 180	53 - 64	4.5 - 5.0	PET (IELTS 4.5)	B1
					FCE (IELTS 5.0)	B2
605 - 780	513 - 547	183 - 210	65 - 78	5.5 - 6.0	FCE	B2
	550 - 587	213 - 240	79 - 95	6.5 - 7.0	CAE	C1
785 - 990	590 - 677	243 - 300	96 - 120	7.5 - 9.0	CPE	C2

გ) საერთო სამაგისტრო გამოცდებით ჩარიცხული სტუდენტების უცხო ენის კომპეტენცია დგინდება შესაბამის პროგრამაზე უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული მისაღები სამაგისტრო გამოცდის უცხო ენის გამოცდის შედეგებით ან შესაბამისი პროგრამის მოთხოვნებით გათვალისწინებული ენობრივი კომპეტენციის საერთაშორისო სერტიფიკატით წარმოდგენის გზით.

პროგრამის ენის ცოდნის დასადგენად, უნივერსიტეტი ატარებს გამოცდას. გამოცდა ტარდება ორ ეტაპად:

ა) პირველი ეტაპი - ლაპარაკის მოდული (Speaking Module) წარმოადგენს ერთ-ერთ საკვანძო კომპონენტს. იგი ტარდება გამომცდელთან ერთი-ერთზე ინტერვიუს სახით პირისპირ ან დისტანციურად. გამომცდელი ლაპარაკის პროცესშივე აფასებს კანდიდატის შესაძლებლობებს.



ლაპარაკის მოდულში აპლიკანტის მაქსიმალური ქულა შეადგენს 25, მინიმალური ბარიერი 15 ქულა.

ბ) მეორე ეტაპი - ტესტი (ტარდება წერითი ფორმით) ამოწმებს კანდიდატის სამ ძირითად ენობრივ უნარს: მოსმენა, კითხვა და წერა. ტესტის მაქსიმალური შეფასება 75 ქულა, მინიმალური ბარიერი 45 ქულა.

დ) საბაკალავრო განათლება მიიღეს პროგრამაზე დადგენილი შიდა სამაგისტრო გამოცდებისთვის დადგენილ უცხო ენაზე;

ე) რომლებსაც აქვთ პროგრამის ფარგლებში შიდა სამაგისტრო გამოცდებისთვის დადგენილი უცხო ენის ფლობის დონის დამადასტურებელი ერთ-ერთი შემდეგი სერტიფიკატი:

გერმანული ენა	Goethe – Zertifikat B2
	Zertifikat Deutsch für den Beruf, DAF, sprachdiplom kultusministerkonferenz
	Konferenz, ZMP, Zentrale Oberstufenprüfung, Kleines/Grosses Deutsches Sprachdiplom, DSH
ინგლისური ენა	CEFR B2
	IELTS exam – 5
	BEC exam and CELS exam – Vantage
	Cambridge exam – FCE
	Pritman ESOL International
	TOEIC – 600
	TOEFL – 510 (paper - based) 173 (computer - based) 61 (internet - based)
ფრანგული ენა	Diplome de Langue Francaise (DL) (AF)
	Diplome d’Etudes en Langue Francaise DELF/B2 (CIEP)

გ) პირი, რომელიც უნივერსიტეტში ჩარიცხულია ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, მობილობის წესით გადასვლა სურს ევროპის უნივერსიტეტში, ვალდებულია გაიაროს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით უნივერსიტეტის „სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად;



ჩარიცხვის მიზნით პროგრამის ენის ცოდნის დასადგენად, უნივერსიტეტი ატარებს გამოცდას. გამოცდა ტარდება ორ ეტაპად:

ა) პირველი ეტაპი - ლაპარაკის მოდული (Speaking Module) წარმოადგენს ერთ-ერთ საკვანძო კომპონენტს. იგი ტარდება გამომცდელთან ერთი-ერთზე ინტერვიუს სახით პირისპირ ან დისტანციურად. გამომცდელი ლაპარაკის პროცესშივე აფასებს კანდიდატის შესაძლებლობებს. ლაპარაკის მოდულში აპლიკანტის მაქსიმალური ქულა შეადგენს 25, მინიმალური ბარიერი 15 ქულა.

ბ) მეორე ეტაპი - ტესტი (ტარდება წერიითი ფორმით) ამოწმებს სტუდენტის სამ ძირითად ენობრივ უნარს: მოსმენა, კითხვა და წერა. ტესტის მაქსიმალური შეფასება 75 ქულა, მინიმალური ბარიერი 45 ქულა.

გ) მობილობის წესით ევროპის უნივერსიტეტში გადმომსვლელი პირი უფლებამოსილია პროგრამის ენობრივი კომპეტენცია დაადასტუროს ამ წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენის გზით პროგრამისთვის განსაზღვრული უცხოური ენის დონის შესაბამისად. საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში აბიტურიენტი თავისუფლდება უცხოური ენის წერიითი გამოცდიდან.

დ) ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით ჩარიცხული პირები, რომლებსაც ერთიანი ეროვნული გამოცდების უცხო ენის გამოცდაში ჩაბარებული ენა განსხვავდება უნივერსიტეტის პროგრამით გათვალისწინებული / მათ მიერ არჩეული ენისგან, ენობრივი კომპეტენციის დონის დადასტურებას ახდენენ საუნივერსიტეტო უცხოური ენის დონის განსაზღვრის გამოცდის მეშვეობით, ამ წესის გათვალისწინებით.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესი გამოიყენება უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული დასავლური (ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული, ესპანური) ენების მიმართ. აღმოსავლური ენების შესწავლა ხდება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საწყისი დონიდან.

მუხლი 4. ენობრივი კომპეტენციის შეფასების მეთოდოლოგია

1. ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენისთვის, უნივერსიტეტში გამოყენებულია ენობრივი კომპეტენციის ევროპული ჩარჩოს (CEFR) მიერ აპრობირებული კომპეტენციათა დონე, რომლის შესაბამისად, თითოეულ ენობრივ კომპეტენციას შეესაბამება თავისი პირობითი აღმნიშვნელი.

2. ენობრივი კომპეტენციის შეფასების დონეებია:



- ა) A დონე- დაწყებითი კომუნიკაციის კომპეტენცია
- ბ) B დონე - დამოუკიდებელი კომუნიკაციის კომპეტენცია
- გ) C დონე - პროფესიული კომუნიკაციის კომპეტენცია

3. ენობრივი კომპეტენციის დონის შედეგების აღმწერი:

ა) A1 - ნაცნობი, ყოველდღიურად ხმარებადი გამონათქვამებისა და უმარტივესი წინადადებების გაგებისა და გამოყენების უნარი, რომელთა მიზანსაც კონკრეტული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეადგენს. სხვებისათვის საკუთარი თავის წარდგენისა და სხვების წარდგენის, ასევე ადამიანებისათვის მათ შესახებ კითხვების დასმის უნარი - მაგ.: სად ცხოვრობენ ისინი, რა ადამიანებს იცნობენ ან რა ნივთებს ფლობენ - და ასევე მათზე პასუხების გაცემის შესაძლებლობა. მარტივ დონეზე კონტაქტის დამყარების უნარი, როდესაც პარტნიორი მოსაუბრე ნელა და გარკვევით ლაპარაკობს და მზადაა დახმარებისათვის.

ბ) A2 - წინადადებებისა და ხშირად ხმარებადი გამონათქვამების გაგების უნარი, რომლებიც გარკვეული სფეროების უშუალო მნიშვნელობებთანაა დაკავშირებული (მაგ.: ინფორმაცია პიროვნებისა და ოჯახის, საყიდლების, სამუშაოს, უშუალო გარემოცვის შესახებ). მარტივ, ყოველდღიურ სიტუაციებში კონტაქტის დამყარების უნარი, სადაც ინფორმაციის მარტივ და უშუალო გაცვლაზე და ნაცნობ, ჩვეულ საგნებზეა საუბარი. მარტივი გამონათქვამებით საკუთარი წარმოშობისა და განათლების, უშუალო გარემოცვისა და უშუალო მოთხოვნილებებთან დაკავშირებულ საგნების აღწერის უნარი.

გ) B1 - მარტივი სტანდარტული ენის გამოყენებისას და ნაცნობ საგნებზე, სამუშაოს, სკოლის, დასვენებებისა და ა. შ. სფეროებიდან მთავარი საკითხების გაგების უნარი. მოგზაურობისას წარმოშობილი უმეტეს ენობრივ სიტუაციასთან გამკლავების უნარი. ნაცნობ თემებსა და პიროვნულ ინტერესებზე მარტივად და თანმიმდევრულად საუბრის უნარი. გამოცდილებებისა და მოვლენების გადმოცემის, ოცნებების, იმედებისა და მიზნების აღწერისა და გეგმებისა და შეხედულებების შესახებ მოკლე არგუმენტაციის ან ახსნის უნარი.

დ) B2 - კონკრეტულ და აბსტრაქტულ თემებზე შექმნილი კომპლექსური ტექსტების მთავარი აზრის გაგება; საკუთარ პროფესიულ სფეროში ასევე საგნობრივი დისკუსიების გაგების უნარი. სპონტანურად და თავისუფლად კონტაქტში შესვლის უნარი, ისე რომ უცხოენოვან მოსაუბრესთან დიდი ძალისხმევის გარეშე ორმხრივად კარგად წარიმართოს საუბარი. თემების ფართო სპექტრის შესახებ გასაგებად და დეტალურად საუბრის, აქტუალურ საკითხზე საკუთარი პოზიციის გამოხატვისა და სხვადასხვა შესაძლებლობების პრიორიტეტებისა და ნაკლოვანებათა განმარტების უნარი.

ე) C1 - რთული, ვრცელი ტექსტების ფართო სპექტრის გაგებისა და იმპლიციტური მნიშვნელობის წვდომის უნარი. სპონტანურად და თავისუფლად აზრების გამოხატვის შესაძლებლობა, ისე რომ არ არსებობდეს სიტყვების ძებნის ხშირი და აშკარად თვალში საცემი საჭიროება. ენის საზოგადოებრივ და პროფესიულ ცხოვრებაში ან სწავლის პროცესში ეფექტურად და მოქნილად გამოყენების უნარი. კომპლექსურ საკითხებთან დაკავშირებით ნათლად, სტრუქტურირებულად და დეტალურად აზრის გამოთქმისა და ამ პროცესში ტექსტის შემაკავშირებლად სხვადასხვა შესაბამისი საშუალებების გამოყენების უნარი.

ვ) C2 - პრაქტიკულად ყოველივე მოსმენილისა და წაკითხულის მარტივად გაგების უნარი. სხვადასხვა წერილობითი და ზეპირი წყაროებიდან ინფორმაციების შეჯამებისა და მათთან დაკავშირებული არგუმენტაციისა და განმარტებების მწყობრად გადმოცემის შესაძლებლობა. აზრების სპონტანურად, ძალზე თავისუფლად და ზუსტად გადმოცემისა და კომპლექსურ საკითხებზე საუბრისას ფაქიზი ნიუანსების გამოკვეთის უნარი.

მუხლი 5. ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი

1. ენობრივი კომპეტენციის დონის დადგენა ხდება უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდის მეშვეობით, რომლის საკითხები რელევანტურია ენობრივი კომპეტენციის შესაბამისი დონისა.
2. საგამოცდო საკითხების ფორმატი და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება შესაბამისი ენობრივი ტესტის მიხედვით. გასაუბრების ჩატარების შემთხვევაში პირმა ენის ცოდნა უნდა დაასაბუთოს დონის შესაბამისი ლექსიკური მარაგით.
3. საგამოცდო საკითხების მომზადებას, დამტკიცებას და ორგანიზებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეულის მიერ შექმნილი დროებითი კომისიები.
4. კომპეტენციის დადგენა გამოცდის მეშვეობით ხდება ცენტრალიზებულად, ან უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით - ინდივიდუალურად, სტუდენტთა კონკრეტული ნაკადიდან გამომდინარე.

მუხლი 6. გამოცდის შედეგები. აპელაცია

1. ენობრივი კომპეტენციის დასადგენი გამოცდის შედეგები ეცნობება სტუდენტს გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს 5 დღისა;



2. სტუდენტს უფლება აქვს შეიტანოს აპელაცია გამოცდების შედეგებთან დაკავშირებით, შედეგების გამოცხადებიდან ერთი კვირის ვადაში. აპელაციის საკითხს განიხილავს შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეულის მიერ შექმნილი დროებითი კომისია.
3. ენობრივი კომპეტენციის დადგენის გამოცდის საბოლოო შედეგები ქვეყნდება აპელაციების განხილვის დასრულების შემდეგ და ეცნობება ყველა სტუდენტს.

მუხლი 7. ენობრივი კომპეტენციის დადგენის შედეგები

1. ინგლისურენოვან პროგრამებზე ენობრივი კომპეტენციის დადგენის გამოცდის საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლებას მიიღებენ ის სტუდენტები, რომელთა ენობრივი კომპეტენცია აღწევს B2 დონეს, შესაბამისი ტესტის შეფასების სისტემის მიხედვით ან/და გასაუბრების შედეგად.